ხატია ყიფშიძე

კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა
კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა
პაველ ჯოზეფ საფარიკის უნივერსიტეტი, სლოვაკეთი

მოხარული ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა, მონაწილეობა მიმეღო Erasmus+ის პროგრამაში და 2026 წლის გაზაფხულის სემესტრი გამეტარებინა სლოვაკეთში, ქალაქ კოშიცეში. იქ გატარებული დრო იქცა ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და დაუვიწყარ გამოცდილებად.

მობილობის განმავლობაში გავეცანი სწავლის ახალი მეთოდებს და ჩემი პროფესიისადმი განსხვავებულ კულტურულ და აკადემიურ ხედვებს. შევხვდი უცხოელ ლექტორებს, მივიღე მულტიკულტურულ გარემოში მუშაობის გამოცდილება და გავიარე საინტერესო საგნები.
საზღვარგარეთ ცხოვრების ყველაზე გამორჩეული ნაწილი იყო იმ ადამიანების გაცნობა, რომლებიც ჩემი უახლოესი მეგობრები გახდნენ. ყოველდღიურად მქონდა ურთიერთობა უამრავ საინტერესო ადამიანთან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან და ხშირად ვმოგზაურობდი მათთან ერთად. თითოეული დღე განსხვავებული და თავგადასავლებით სავსე იყო.

კოშიცეში ცხოვრება გარდამტეხი აღმოჩნდა ჩემთვის როგორც პროფესიულად, ასევე პიროვნულად. ამ გამოცდილებამ უფრო თავდაჯერებული, ინიციატივიანი და ახალი გამოწვევების მოყვარული გამხადა. სლოვაკეთში გატარებულ 5 თვეს ყოველთვის მონატრებითა და დადებითი ემოციებით გავიხსენებ. მადლობელი ვარ კავკასიის უნივერსიტეტის ამ უნიკალური შესაძლებლობისთვის, რომელიც ვფიქრობ, ყველა სტუდენტმა უნდა გამოსცადოს.